საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №36

თბილისი „27“ 07 2018 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ლოგოს ესკიზის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების დამტკიცებისა და გამარჯვებული ესკიზის შესარჩევი კომისიის შექმნის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ლ“, „მ“ და „ყ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2018 წლის 25 ივლისის N945059 და 2018 წლის 27 ივლისის N952313 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ლოგოს ესკიზის შერჩევის მიზნით გამოცხადდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ლოგოს ესკიზის შესარჩევი კონკურსი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო პირობები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირინა აბულაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ლევან ხარატიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) დავით ჩხეიძე - საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დიზაინისა და ანალიტიკის სამსახურის უფროსი;

დ) ნინო ნანიკაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;

ე) ნანა იაშვილი - სსიპ-თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვიზუალური კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი;

ვ) თამაზ ვარვარიძე - პროფესორი, გრაფიკოსი, გრაფიკული დიზაინის ასოციაციის პრეზიდენტი;

ზ) ირმა ჩაფიძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (იურისტი);

თ) ნატალია დგებუაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ი) მერაბ ხუციშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

კ) ნინო ქადაგიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

4. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხელ ბატიაშვილი

<u>**დანართი**</u>

კონკურსის პირობები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ლოგოს ესკიზის კონკურსის ძირითადი პირობები

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ლოგოს ესკიზის საუკეთესო პროექტების შერჩევა და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა.

2. ზოგადი კრიტერიუმები

1. კონკურსს ატარებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა.
3. კონკურსი ტარდება ერთ ტურად. სამუშაო ენაა ქართული.
4. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება ერთი ავტორის მონაწილეობის შემთხვევაშიც.
5. კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დამატებით საკითხზე ინფორმაციასათვის მიმართეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი). საკონტაქტო პირი: ნინო ქადაგიშვილი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საკონტაქტო ინფორმაცია: 032 2 200 220 (1494); მის: უზნაძის 52თბილისი.

3. კონკურსის პირობები

1. პროექტების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუალებით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.
2. საკონკურსო პროექტს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი. კონვერტში მოთავსებული თითოეული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ზომის ფორმატზე ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის მიერ შერჩეული ციფრების კომბინაციის მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსობრივი აღწერა-დასაბუთება.

3. წარმოდგენილ კონვერტში უნდა იდოს მცირე ზომის დალუქული კონვერტი, რომელზეც ზემოდან აღნიშნული იქნება ავტორის მიერ შერჩეული ციფრების კომბინაცია. მასში მოთავსებული უნდა იყოს ავტორის პირადი, საკონტაქტო ინფორმაცია.

4. კონკურსში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ ესკიზის დალუქული კონვერტის მიღებით, რაც ამავდროულად ნიშნავს, რომ კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირობები მისაღებია კონკურსანტისათვის.

4. კონკურსის ჩატარების ვადები

1. კონკურსის გამოცხადება _ 2018 წლის 27 ივლისი;

2. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა _ 2018 წლის 2 აგვისტო;

3. შედეგების გამოცხადება _ 2018 წლის 7 აგვისტომდე.

5. გამარჯვებული პროექტისთვის დაწესებული კონკურსის პრემიები

კონკურსში გამარჯვებისათვის დაწესებულია ჰონორარი - 2500 ლარი (დარიცხული).

6. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები

1. გამარჯვებული პროექტები გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

2. კონკურსი და მისი შედეგები გამოცხადდება საინფორმაციო საშუალებებით (სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე).